სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება №213

(ოქმი №197)

თბილისი 2011 წლის 29 აგვისტო

## სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2011 წლის კორექტირებული ბიუჯეტის დამტკიცების, შპს "ქეი 1"-ს და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებისა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის განსახილველად მიღების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2011 წლის კორექტირებული ბიუჯეტი თანდართული სახით.
2. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა თავისი სარეზერვო ფონდიდან სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მესამე არხისთვის (შპს "ქეი 1"-სთვის) მიზნობრივად გამოყოფს 3 000 000 (სამი მილიონი) ლარს, მიეცეს თანხმობა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალურ დირექტორს, შპს "ქეი 1"-ს და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2012 წლის 16 იანვრამდე და აღნიშნული თანხა გადაეცეს შპს "ქეი 1"-ს ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით.
3. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი 2012 წლის ბიუჯეტის პროექტი, საფუძვლად იქნას მიღებული შემდგომში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყბელის" 2012 წლის ბიუჯეტის დსამტკიცებლად.

დანართი: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2011 წლის კორექტირებული ბიუჯეტი.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:
ლევან გახელაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

| | |
|---|---|
| მამუკა ფაჩუაშვილი | ნოდარ სარჯველაძე |
| დავით კანდელაკი | ემზარ გოგუაძე |
| ზურაბ დავითაშვილი | ავთანდილ ანთიძე |
| ოთარ კობერიძე | ნინო დანელია |
| ბაკურ სულაკაური | შორენა შავერდაშვილი |
| გიგა ნასარიძე | დავით აფრასიძე |
| გიორგი მელაძე | |

| ვამტკიცებ: | ვამტკიცებ: |
|---|---|
| სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორი | სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე |
| გ. ჭანტურია ---------------- | ლ.გახელაძე---------------- |
| ---29 აგვისტო--- 2011 წელი | ---29 აგვისტო--- 2011 წელი |

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" - გეგმა **2011** წლის 26 აგვისტოს მდგომარეობით

| დასახელება | გეგმა (ხაზინა) | გეგმა (ბანკი) |
|---|---|---|
| ხარჯები სხვა და კ1 გადასახდელების გარეშე | 25 150 000 | 6 858 447,73 |
| სულ ხარჯები | 43 250 000,00 | 6 858 447,73 |
| ხელფასები | 9 957 318,60 | 2 166 680,40 |
| მივლინებები | 678 000,00 | 95 000,00 |
| სამეურვეო საბჭოს ხარჯები | 360 000,00 | 17 010,00 |
| ადმინისტრაციული ხარჯები | 1 876 880,00 | 99 758,00 |
| მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახური | 301 430,00 | 625,00 |
| პროდუსინგის სამსახური | 3 114 270,40 | 2 489 335,11 |
| საინფორმაციო სამსახურის ხარჯები | 843 728,00 | 149 322,00 |
| ტექნიკის ხარჯები | 6 537 990,00 | 17 762,00 |
| სხვა გადასახადები | 1 480 383,00 | 1 822 955,22 |
| მე-3 არხის ფუნქციონირებისათვის | 18 100 000,00 | |

| ვამტკიცებ: | ვამტკიცებ: |
|---|---|
| სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორი | სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავჯდომარე |
| გ. ჭანტურია ------------------ | ლ.გახელაძე ------------------ |
| 29 აგვისტო 2011 წელი | 29 აგვისტო 2011 წელი |

# სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს 2012 წლის ბიუჯეტის პროექტი

| | ხელფასები | წლიური ანაზღაურება 2012 | ხაზინა | ბანკი |
|---|---|---|---|---|
| 1.1 | სსმ | 220,920.00 | 220,920.00 | - |
| 1.2 | ფინანსები | 380,223.72 | 380,223.72 | - |
| 1.3 | ადმინისტრაცია | 1,116,000.00 | 1,116,000.00 | - |
| 1.4 | მარკეტინგი | 169,800.00 | 169,800.00 | - |
| 1.5 | ადამიანური რესურ | 112,080.00 | 112,080.00 | - |
| 1.6 | ინფორმაცია | 2,583,980.82 | 2,583,980.82 | - |
| 1.7 | ტელემაუწყებლობის | 4,324,503.46 | 4,324,503.46 | - |
| 1.8 | წარმოების სამსახ | 998,786.52 | 998,786.52 | - |
| 1.9 | რადიომაუწყებლობის | 778,097.52 | 778,097.52 | - |
| 1.10 | ტექნიკური დეპ | 1,626,570.00 | 1,626,570.00 | - |
| 1.11 | სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი | 38,000.00 | 38,000.00 | - |
| | ხელფასები სულ | 12,348,962.04 | 12,348,962.04 | - |

| | | | |
|---|---|---|---|
| მივლინებები | გეგმა | ხაზინა | ბანკი |
| მივლინებები სულ | 840,000.00 | 750,000.00 | 90,000.00 |
| სამეურვეო საბჭო | გეგმა | ხაზინა | ბანკი |
| ჯამი სამეურვეო საბჭო | 430,000.00 | 430,000.00 | - |
| ადმინისტრაციული სამსახური | გეგმა | ხაზინა | ბანკი |
| ჯამი ადმინისტრაციული სამსახური | 2,370,000.00 | 1,903,000.00 | 467,000.00 |
| მარკეტინგის და გაყიდვების სამსახურის ხარჯები | გეგმა | ხაზინა | ბანკი |
| სულ მარკეტინგი და გაყიდვები | 234,000.00 | 134,500.00 | 99,500.00 |
| პროდიუსინგის ხარჯები | გეგმა | ხაზინა | ბანკი |
| სულ პროდუსინგის სამსახური | 3,501,882.35 | 2,849,882.35 | 652,000.00 |
| საინფორმაციო სამსახურის ხარჯები | გეგმა | ხაზინა | ბანკი |
| საინფორმაციო სამსახურის ხარჯები | 1,012,800.00 | 669,800.00 | 343,000.00 |
| ტექნიკური სამსახური | გეგმა | ხაზინა | ბანკი |
| სულ ტექნიკური სამსახური | 4,685,010.00 | 4,378,010.00 | 307,000.00 |
| სხვა გადასახდელები | გეგმა | ხაზინა | ბანკი |
| სხვა გადასახდელები | 7,488,823.53 | 4,735,845.61 | 2,752,977.92 |
| სულ ბიუჯეტი | 32,911,477.92 | 28,200,000.00 | 4,711,477.92 |

# საქართველოს მთავრობის

# განკარგულება

№1692 2011 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

## თანხის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში მიმართვის შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის გათვალისწინებული ასიგნებები შეამციროს 4 900 000 (ოთხი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარით და აღნიშნული თანხით გაზარდოს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური

# საქართველოს მთავრობის

# განკარგულება

№1690 2011 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

**სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ**

საზოგადოებრივი მაუწყებლის მესამე არხის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სსიპ – საზოგადოებრივ მაუწყებელს გამოუყოს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი შპს „ქეი 1“-სათვის გადასაცემად.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური